

## თავი 31 სარჩელი

ჯორჯი კარისკენ გაემართა. ამის დანახვაზე დანარჩენებიც გამოცვივდნენ კუთხიდან, აიღეს თავიანთი პორტფელები და უკან მიჰყვნენ ლიდერს.

– მეორე ნომერო, – თქვა ჯორჯმა, – შეგიძლია პასუხისმგებლობის საკითხი კიდევ ერთხელ განმიმარტო? – ჯორჯს უნდოდა ჯონათანისთვის ეჩვენებინა, რამდენად კარგად წარმოაჩენდნენ თავს მისი ადვოკატები.

მთელი ჯგუფი სწრაფი ნაბიჯებით გაემართა პოლისკენ. ჯორჯს ისევ გადახვეული ჰქონდა ხელი ჯონათანსა და მეორე ნომერზე.

– იცი, – თქვა მეორე ნომერმა, – ლითონი შეიძლება ჯოხს მოსძვრეს და შემთხვევით იქვე მდგომს მოხვდეს, ასე რომ, ჩვენ უნდა დაგიცვათ თქვენ და სხვა გამომგონებლები.

– დამიცვათ მე, თუ ლითონი ვინმეს მოხვდა? კი მაგრამ, რას გულისხმობთ? – იკითხა ჯორჯმა, რომელიც შეკითხვებით პერიოდულად ამარაგებდა ადვოკატს.

– დაზარალებულმა შეიძლება სასამართლოში გიჩივლოთ და თქვენგან ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს – ზარალი შემოსავალია, ტრავმის, კანონიერი გადასახადების და მთელი რიგი სხვა მიზეზების შემთხვევაში.

ჯგუფის წევრები ისე ახლოს ცდილობდნენ მისვლას, რომ კინაღამ ჯონათანს გადაუარეს. ჯგუფში მუხლებზე მოხობილევებს განსაკუთრებით უჭირდათ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ წუწუნს ვერ ბედავდნენ, რადგან სიმაღლის გადასახადი ახსენდებოდათ.

– სასამართლო სარჩელმა შეიძლება ბოლო მომიღოს, – თქვა ჯორჯმა ვითომ შემწფოთებით, თან ცალი თვალით ჯონათანის რეაქციას აკვირდებოდა.

მეორე ნომერი საუბარს განაგრძობდა და ვერ შენიშნა მისი მისამართით გაკეთებული რეპლიკა.

– ასე რომ, ლორდთა საბჭომ შეიმუშავა ახალი ორიგინალური იდეა, თუ როგორ უნდა გათავისუფლდეს პირი პასუხისმგებლობისგან სხვებისთვის ზარალის მიყენების შემთხვევაში.

– კიდევ ერთი იდეა? მისი პატენტის მფლობელი ვინღაა? – მიაშიტურად იკითხა ჯონათანმა.

მეორე ნომერმა წარბი შეკრა. შემდეგ საუბარი განაგრძო ისე, რომ ჯონათანის შეკითხვისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

– ჩვენ კარტოთეკას ვქმნით და წერილებს ვაწერთ „შპპ“-ს, თქვენი კომპანიის სახელიდან გამომდინარე, – ნომერი ორი ცდილობდა ისე გაეხსნა საქაღალდე და ამოეღო ქაღალდები, რომ არაფერი გამორჩენოდა, – ამ გახსენებაზე ბატონო სელდენ, გთხოვთ, ფურცლის ბოლო ხაზზე ხელი მოაწეროთ.

– რას ნიშნავს შპპ? – გაოცებით იკითხა ჯონათანმა. ზუსტად ვერ გაიგო რა ხდებოდა.

– „შპპ“ – შეზღუდულ პირად პასუხისმგებლობას ნიშნავს, – თქვა მეორე ნომერმა, – თუ ბატონი სელდენი თავის კომპანიას დაარეგისტრირებს, ყველაზე დიდი რაც მან სასამართლოში შეიძლება დაკარგოს, ამ საქმეში ჩადებული ფულია. მისი დანარჩენი ქონება დაცულია. ეს ერთგვარი დაზღვევაა, რომელსაც საბჭო დამატებითი გადასახადის ფასად ყიდის. ვინაიდან საბჭო ამით ამცირებს ფინანსური ზარალის აღბათობას, უფრო და უფრო მეტი ხალხი დააბანდებს ფულს კომპანიაში და ჩვენს საქმიანობას ნაკლები ყურადღება მიექცევა.

– უკიდურეს შემთხვევაში, – ჩაურთო ჯორჯმა, – შეგიძლია კომპანია დაეხუროთ და გაიქცეთ. შემდეგ ახალი კომპანია გაეხსნათ სხვა სახელით. ჭკვიანურია ხომ, რას იტყვი?

ამ დროს ჯორჯმა თვალი მოჰკრა მომხიბვლელ ახლგაზრდა ქალს, რომელიც დერეფანში გადიოდა. მას სხეულის საოცრად მომხიბვლელი ფორმები ჰქონდა. ამასთან, ქალი ისე დადიოდა, რომ ცდილობდა სხეულის თითოეული ნაკვთი

საზგასმით წარმოეჩინა. ჯორჯი შემობრუნდა, რომ მისთვის შეეხედა, მაგრამ ამ დროს იქვე მიმოყრილ ნივთებს ფეხი წამოკრა და გაშლილი თითებით კედელს მიეყრდნო.

– ვაი, – წამოიძახა შეშინებულმა და ძირს გაიშხლართა. იგი წამოდგომას ცდილობდა, თან წუწუნებდა, რომ საშინლად ეტკინა ხელი და წელი. ადვოკატები გარს დასტრიალებდნენ და ერთმანეთს გააფთრებით ელაპარაკებოდნენ. ზოგი გამწარებული ეხმარებოდა ჯორჯს ჯიბიდან გადმოცვენილი ნივთების შეგროვებაში, ზოგი კი შემთხვევის ადგილის ნახაზს და ჩანიშნებს აკეთებდა.

– ვუჩივლებ, – იყვირა ჯორჯმა, თან თავის დაზიანებულ და სისხლიან თითებს აბრეშუმის ცხვირსახოცით იხვევდა, – გავანადგურებ იმ არარაობას, რომელიც პასუხისმგებელია ამ არეულობაზე. თქვენ კი, ახალგაზრდა ქალბატონო, სასამართლოში შეგხვდებით. ჩემი დაზიანებისთვის პასუხს გაგებინებთ, – რამდენიმე ადვოკატი სასწრაფოდ მიიჭრა ქალთან ვინაობისა და მისამართის დასადგენად.

ახალგაზრდა ქალბატონი გაოცდა და ქედმაღლურად იკითხა:

– მიჩივლებთ? იცით მე ვინ ვარ?

– არ მაინტერესებს, – თქვა ჯორჯმა, – რაც უფრო ცნობილი ხართ, მით უკეთესი!

ქალი შეეპასუხა. თან აკანკალებული ცდილობდა სიბრაზე შეეკავებინა.

– ამას ვერ გააკეთებთ, ჩემი შეყვარებული კარლოა, კარლო პონცი. საზგასმით გაიმეორა, – ის ამბობს, რომ ჩემი სილამაზე ყველას აჭარბებს. ეს საზოგადოებრივი ფასეულობაა, მან ასე გამოაცხადა, ასე მითხრა წუხელის, – ქალმა ინსტინქტურად ჩანთა გახსნა, რომ სარკე ამოეღო, მაგრამ დანახულით უკმაყოფილო დარჩა. მაკიაჟი თვალთან გაფუჭებოდა.

– შეხედეთ რა უქენით საზოგადოებრივ ფასეულობას. კარლო ჩემს კოსმეტიკას ყოველთვის საკუთარი ხარჯებით ყიდულობს. ინანებთ, ამის გამო თქვენ გადასახადები გაგეზრდებათ, – მან სარკე ისევ საფულეში ჩადო და მაკიაჟის მოსაწესრიგებლად ოთახის საძებნად გაიქცა.

ჯონათანს ერთგვარი სიმპათია გაუჩნდა ამ ქალის მიმართ.

– მართლა აპირებთ, უჩივლოთ? – იკითხა მან, – რაში უნდა დაადანაშაულოთ?

ჯორჯმა ჯონათანს ყურადღება არ მიაქცია. იატაკზე დახოხავდა იმ იმედით, რომ ვინმეს დასადანაშაულებლად რაიმე სამხილს იპოვიდა. თითებით ქვის იატაკზე უსწორმასწორო ადგილი იპოვა და იყვირა:

– აი მიზეზი მეორე ნომერო! გაარკვიე, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი. გავიგებ, სად მუშაობს და რა ქონების პატრონია. იმ ქალს რა ერქვა?

– დაწყნარდით ჯორჯ! – უთხრა მეორე ნომერმა, – ის პონცის გოგოა. თუ გინდათ შეშისმჭრელების კანონი გავაუქმოთ, დაივიწყეთ. ეს შენობა ხომ მთავრობის სასახლეა. ლორდთა ნებართვით შეგვიძლია გადასახადების გადამხდელებს ვუჩივლოთ.

ჯორჯმა შვებით გაიღიმა:

– მეორე ნომერო, გენიოსი ხარ! ჩაწერე დღის წესრიგში ქალბატონ ტვიდთან მოლაპარაკება. რა თქმა უნდა, ლორდებს ნაკლებად ანადგვლებთ ის ამბავი ჩვენ სასახლის შენახვის გადასახადის გადამხდელებს ვუჩივლებთ თუ არა. საკუთარი ჯიბიდან ხომ არ იხდიან. მერწმუნე, ისინი წილსაც კი მიიღებენ, – იგი დაინტერესდა, ქალბატონი ტვიდი რამდენს მოსთხოვდა ამ საქმისთვის. ჯორჯს ტკივილი გაუყუჩდა, – ეს მე საშუალებას მაძლევს ყველაზე სქელ ჯიბეებში ჩაეძვრე.

– ლორდებს ზიანის კომპენსაციას მოსთხოვთ? – ჰკითხა ჯონათანმა.

– არა იდიოტო, – იფეთქა ჯორჯმა, – ლორდები სრული შპს-ს უფლებით სარგებლობენ. ვერცხლის ლანგრით მომართმევენ გადასახადების გულუბრყვილო გადამხდელებს. დიდი მოგება მექნება.